## საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი

### საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში
### დამატებისა და ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №8, 25.03.2004, მუხ. 38) შეტანილ იქნეს შემდეგი დამატება და ცვლილება:

1. 74-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის $1^1$ პუნქტი:

„$1^1$. ამ რეგლამენტის 72-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული დროებითი კომისიის უფლებამოსილების ვადა, გარდა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შემთხვევისა, შეიძლება გაგრძელდეს პარლამენტის თავმჯდომარის ინიციატივით, არა უმეტეს 6 თვის ვადით, პარლამენტის დადგენილებით.".

2. 128-ე მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების წელს არჩევნებამდე 1 თვის განმავლობაში, როგორც წესი, პარლამენტის პლენარული სხდომები არ ტარდება. ამ პერიოდში, თუ იგი ემთხვევა მორიგი სესიის პლენარულ სამუშაო ციკლს, საჭიროების შემთხვევაში პლენარულ სხდომებს იწვევს პარლამენტის თავმჯდომარე თავისი ინიციატივით ან პარლამენტის შემადგენლობის არანაკლებ ერთი მეოთხედის მოთხოვნით. სხვა შემთხვევაში პლენარული სხდომა მოიწვევა და ტარდება რიგგარეშე სხდომისათვის ამ რეგლამენტის 130-ე მუხლით დადგენილი წესით.".

მუხლი 2. ეს რეგლამენტი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პარლამენტის
თავმჯდომარე — დავით ბაქრაძე

თბილისი,
2010 წლის ———
№